საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

პროდუქტიულობა

www.sab.ge

პროდუქტიულობა

განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროდუქტიულობის ზრდა, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას და გაზრდილ შემოსავლებს. პროდუქტიულობის შესაფასებლად შესაძლებელია განვიხილოთ როგორც მშპ-ს მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, ასევე ეკონომიკის გამოშვება ერთ სულ მოსახლეზე. OECD-ის განმარტებით პროდუქტიულობის საზომია სამუშაო ძალის მიერ შექმნილი მშპ 1 საათის განმავლობაში. საქართველოს შემთხვევაში, ამ ეტაპზე, აღნიშნული მაჩვენებელი არ არის ხელმისაწვდომი, ვინაიდან რთულია განვსაზღვროთ სამუშაო ძალის საათები. შესაბამისად, სურათის შესაქმნელად გამოყენებულია მუშახელის მიერ შექმნილი მშპ წლის განმავლობაში.

გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანია ქვეყნის პროდუქტიულობის ანალიზი პარტნიორი ქვეყნების შესაბამისად. გრაფიკი 2-ზე მოცემულია საქართველოსა და მის პარტნიორ ქვეყნებში შექმნილი მშპ-ს წილი ერთ დასაქმებულზე 2006-2015 წლებში :



გრაფიკი 1. წყარო: www.oecd.org და www.geostat.ge

როგორც გრაფიკი 1-დან ჩანს, საქართველოში შექმნილი მშპ-ს წილი ერთ დასაქმებულზე 2006 წლიდან 2015 წლამდე 15%-ით გაიზარდა და 6514 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდის ყველაზე მეტად შემაფერხებელი ფაქტორები 2008 წლის ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ასევე ბოლო 2 წლის განმავლობაში 50%-ით გაუფასურებული ეროვნული ვალუტა იყო. პარტნიორი ქვეყნების შემთხვევაში 2006 წლიდან 2015 წლამდე ყველაზე დიდი 11%-იანი ზრდა ჰქონდა რუსეთს და ყველაზე მცირე 1.5%-იანი თურქეთს. ფარდობითი მნიშვნელობებისგან განსხვავებით საქართველოს პროდუქტიულობის მაჩვენებელი გაცილებით ჩამოუვარდება პარტნიორი ქვეყნების აბსოლუტურ მაჩვენებლებს, რაც განაპირობებს, რომ ჩვენს შემთხვევაში საჭიროა გაცილებით მაღალი ზრდის მაჩვენებელი, იმისათვის რომ ჩვენი პროდუქტიულობის დონე დავუახლოვოთ პარტნიორი ქვეყნების პროდუქტიულობის დონეს. გრაფიკი 1 მოიცავს 2016 წლამდე მაჩვენებლებს, თუმცა 2016 წელს მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ვინაიდან ეროვნული ვალუტის მიმდინარე გაუფასურება მკვეთრად აღემატება მშპ-ს ზრდის მაჩვენებელს.

კლებადი ზღვრული პროდუქტიულობის თანახმად, მას შემდეგ რაც ქვეყანა მიაღწევს პროდუქტიულობის გარკვეულ დონეს, მოსალოდნელია პროდუქტიულობის შემცირებული ტემპით ზრდა. ჩვენი შეფასებით, აღნიშნული დასკვნა საქართველოს შემთხვევაში ამ დროისათვის არ არის რელევანტური, ვინაიდან პროდუქტიულობის საერთო დონე არის დაბალი და შესაბამისი ეკონომიკური გარემოს შემთხვევაში მოსალოდნელია პროდუქტიულობის ზრდის მაღალი მაჩვენებელი.

დაბალი პროდუქტიულობის დონე გამოწვეულია დაბალი კვალიფიკაციის მუშახელით, მცირე ინვესტიციებით და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობით. აღნიშნული განაპირობებს, რომ ქვეყანაში შექმნილი საქონელი არის მცირე ღირებულების და საქართველოში არსებული საშუალო ანაზღაურება ჩამოუვარდება სხვა ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში არსებულ საშუალო ხელფასის მაჩვენებელს.



გრაფიკი 2. წყარო www.geostat.ge

გრაფიკი 2-დან ნათელია რომ 2007 წლიდან იზრდება ერთი მუშახელის წლიურად შექმნილი საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2007-დან 2015 წლამდე თითქმის გაორმაგდა 360 000 ადამიანიდან 620 000-მდე, პროდუქტიულობა გაიზარდა სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად და ეს განაპირობებს ამ სექტორში ანაზღაურების ზრდას. გრაფიკზე მოცემულია ზრდა ნომინალურ გამოსახულებაში და ინფლაციის ფაქტორი არის გასათვალისწინებელი, თუმცა ეს არ ცვლის რეალურ სურათს.

იმისათვის რომ ანაზღაურება გაიზარდოს, საჭიროა მუშახელის წლიურად შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულების ზრდა. ეს შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდება კაპიტალი წარმოების პროცესში, გაუმჯობესდება სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები, გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა და აითვისებენ არსებულ ტექნოლოგიებს.

საინტერესოა ანაზღაურების სექტორული ანალიზი, რომელიც მოგვცემს უფრო ნათელ სურათს კონკურენტული სექტორების შესახებ.



გრაფიკი 3. წყარო www.geostat.ge

გრაფიკი 3-დან ვხედავთ, რომ 2015 წლის მდგომარეობით ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურებით 1691 ლარით საფინანსო სექტორი გამოირჩევა, ხოლო განათლების სექტორში არსებული საშუალო ანაზღაურება ყველაზე მცირეა და 483 ლარს შეადგენს. თუ მონაცემებს შევაფასებთ 2006 წლიდან ზრდის ტემპების გათვალისწინებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ საშუალო ანაზღაურება მკვეთრად გაიზარდა თევზჭერისა და ჯანმრთელობის დაცვის სექტორში. უნდა ვთქვათ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობის პირობებში აღნიშნული მონაცემები შესაძლოა ცდომილებას შეიცავს, თუმცა პროდუქტიულობის თვალსაზრისით ასახავს კონკურენტუნარიან სექტორებს.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ სოფლის მეურნეობის სექტორი, ვინაიდან წარმოადგენს მნიშვნელოვან დამსაქმებელს და აქვს მცირე წილი მშპ-ში. მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურების ზრდა 2006 წლიდან 2015 წლამდე, 148 ლარიდან 578 ლარამდე, არსებული ანაზღაურება გაცილებით ჩამოუვარდება ეკონომიკაში არსებულ საშუალო ხელფასს და მიანიშნებს სექტორის დაბალ პროდუქტიულობაზე. სოფლის მეურნეობის სექტორის თვითმყოფადობა და პროდუქტიულობა კიდევ უფრო მცირდება, თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო სუბსიდიების დიდ მოცულობას აღნიშნულ სექტორში.

სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა პროდუქტიულობის დონის განსაზღვრა რთულია, ვინაიდან ანაზღაურება ნაკლებად არის დამოკიდებული შექმნილი საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე. შრომის ანაზღაურება კი, თანმდევია არასახელმწიფო სექტორში არსებული შრომის ანაზღაურების, ვინაიდან სახელმწიფო სექტორში არსებული სახელფასო ბადე განისაზღვრება კერძო სექტორის შესაბამისად. საჯარო მოხელეების ანაზღაურების ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებზე და მონათესავე სექტორების შრომის ანაზღაურებაზე.

დასკვნა

პროდუქტიულობის მიმდინარე მაჩვენებლები ნათლად ასახავს ქვეყნის განვითარების დონეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცალკეული სექტორების დაბალი პროდუქტიულობა, რომელიც ასევე აბრკოლებს სხვა სექტორების განვითარების დონეს. სახელმწიფო სუბსიდიები სოფლის მეურნეობის სექტორში, რომლებიც გრძელდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ უწყობს ხელს სექტორის თვითმყოფადობის და რეალური პროდუქტიულობის წარმოჩენას. ასევე აბრკოლებს სხვა სექტორების განვითარებას, ვინაიდან მიმდინარეობს პროდუქტიული სექტორებიდან ფინანსური რესურსების ხელოვნური მიმართვა დაბალი პროდუქტიულობის სექტორში.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია მთავრობის როლი პროდუქტიულობის ზრდის პროცესში, ვინაიდან სამთავრობო პოლიტიკა ახდენს გავლენას პროდუქტიულობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე. ჯანსაღი ბიზნესგარემო უზრუნველყოფს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ზრდას, რაც პირდაპირ აისახება შრომის ანაზღაურებაზე. ვინაიდან ეკონომიკა განიცდის კაპიტალით ინტენსიური წარმოების ნაკლებობას, დიდია ინვესტიციების მნიშვნელობა პროდუქტიულობის ზრდის პროცესში. ინვესტიციები განაპირობებს, არამხოლოდ ფიზიკური კაპიტალის შემოსვლას ქვეყანაში, არამედ პირდაპირი დადებითი გავლენა აქვს ყველა სხვა ზემოთჩამოთვლილ კომპონენტზე.

„საზოგადოება და ბანკები“ მიიჩნევს, რომ გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდა. ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი პარტნიორი ქვეყნების პროდუქტიულობის მაღალი დონეა, თუმცა პროდუქტიულობის ზრდის მაღალი ტემპის მისაღწევად და მხარდასაჭერად უმნიშვნელოვანესია ინვესტიცია განათლების სექტორში და ინფრასტრუქტურული პროექტების უფრო აქტიურად განხორციელება.

ჩვენი აზრით, პროდუქტიულობის გაზრდისათვის საჭირო ფაქტორებია:

- თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება
- მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლება
- კაპიტალის/ინვესტიციების ზრდა

www.sab.ge